პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 154 (18696) სამშაბათი, 5 ივლისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

მსუბუქი ინდუსტრიის შეკვეთებით

ბრიგადა მაის-ივნისის გეგმა-

ხუთწლედი: წელი მესამე

ჭიათურა

წლიურად 50 ათას ტონა მანგანუმის მადანს მისცემს ქვეყანას კოროხნაული ახალი მადარო, რომელსაც „ჭიათურშახტმშენის“ სამმართველოს კოლექტივი აშენებს. ახალი საწარმოო სიმძლავრის წლის ბოლოდან მწყობრში ჩადგომისათვის კარგი ორგანიზატორული უნარი გამოავლინა უბნის ახალგაზრდა უფროსმა ნ. გოცაძემ. მისი უშუალო ინიციატივით მშენებლობაზე შემოღებულია სამცვლიანი მუშაობა, მაქსიმალური დატვირთვით იყენებენ მექანიზმებს, მთლიანად აღკვეთილია შეფერხებანი საშენი მასალებისა და კონსტრუქციების მიწოდებაში.

ობიექტზე მადნის დაბურღვა, აწმენდა და ტრანსპორტირება მთლიანად მექანიზებულია. განვლილ ხუთ თვეში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დავალება შესრულებულია 114 პროცენტით, გაყვანილია 200 გრძივ მეტრზე ტი კი გვირაბი. ახლა მიმდინარეობს სავენტილაციო გვირაბების მოწყობა, ფუჭი ქანების სანაყარე მეურნეობის მომზადება.

ახალი საწარმოო სიმძლავრის ვადამდე მწყობრში ჩადგომისათვის გაშლილ შეჯიბრებაში პირველობენ გვირაბგამყვანთა და მებეტონეთა ბრიგადები, რომელსაც კ. გოგატიშვილი და მ. სარალიძე უძღვებიან.

(ხაკ. კორ.).

ზესტაფონი

ფეროშენადნობთა ქარხნის მეოთხე საამქროში, რეკონსტრუქციის სამუშაოების მიუხედავად, საწარმოო რიტმი არ დარღვეულა. უკვე მეორე თვეა მწყობრად მუშაობს ახლახან ამოქმედებული მძლავრი გაზსაწმენდი მოწყობილობა. ყოველდღიურად დაქერილი 80-90 ტონა მტვერი, რომელშიც მანგანუმის შემცველობა 40-42 პროცენტია, მეორეული ნედლეულის სახით კვლავ ტექნოლოგიურ პროცესში ბრუნდება.

განვლილ ხუთ თვეში საამქროს კოლექტივმა ნაყოფიერად იშრომა. სახალხო მეურნეობამ მიიღო 943 ტონა ზეგგმამითი შენადნობი, დაზოგილია 2.585 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, დიდძალი მადანი, კვარცი და კოქსი.

მეტალურგთა შეჯიბრებაში დაწინაურდნენ №№23, 24 და 27 საღნობი ღუმლების კოლექტივები, რომელთა მდნობელ ბრიგადირებად მუშაობენ გ. დუგლაძე, რ. ნებიერიძე, გ. გუნიავა, ა. სალაძე, ლ. ებანოიძე, დ. ლუტიძე, ზ. ცხელიშვილი, ს. რობაქიძე, გ. ნებიერიძე და ზ. ჩაბუხადია.

ასეთი შრომითი მიღწევებით ეგებებიან აქაური მეტალურგები ქართველი და რუსი ხალხის დაძმობილების 200 წლისთავის მოახლოებულ იუბილეს. (ხაკ. კორ.).

ფეროშენადნობთა ქარხნის მეოთხე საამქროში, რეკონსტრუქციის სამუშაოების მიუხედავად, საწარმოო რიტმი არ დარღვეულა. უკვე მეორე თვეა მწყობრად მუშაობს ახლახან ამოქმედებული მძლავრი გაზსაწმენდი მოწყობილობა. ყოველდღიურად დაქერილი 80-90 ტონა მტვერი, რომელშიც მანგანუმის შემცველობა 40-42 პროცენტია, მეორეული ნედლეულის სახით კვლავ ტექნოლოგიურ პროცესში ბრუნდება.

განვლილ ხუთ თვეში საამქროს კოლექტივმა ნაყოფიერად იშრომა. სახალხო მეურნეობამ მიიღო 943 ტონა ზეგგმამითი შენადნობი, დაზოგილია 2.585 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, დიდძალი მადანი, კვარცი და კოქსი.

მეტალურგთა შეჯიბრებაში დაწინაურდნენ №№23, 24 და 27 საღნობი ღუმლების კოლექტივები, რომელთა მდნობელ ბრიგადირებად მუშაობენ გ. დუგლაძე, რ. ნებიერიძე, გ. გუნიავა, ა. სალაძე, ლ. ებანოიძე, დ. ლუტიძე, ზ. ცხელიშვილი, ს. რობაქიძე, გ. ნებიერიძე და ზ. ჩაბუხადია.

ასეთი შრომითი მიღწევებით ეგებებიან აქაური მეტალურგები ქართველი და რუსი ხალხის დაძმობილების 200 წლისთავის მოახლოებულ იუბილეს. (ხაკ. კორ.).

535.000 ტონა ჩაისათვის

არ შევანელოთ კრეფის ტემპი!

საქართველოს მეჩაიეობის რაიონებში 4 ივლისისათვის მოკრეფილია და გადასამუშავებლად ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 225.424 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შარშან ამ დროისათვის მოკრეფილი იყო 198.533 ტონა.

რესპუბლიკის სახელოვანმა მეჩაიეებმა ავდრის მიუხედავად ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებიდან 4 ივლისამდე 26.891 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ვიდრე შარშან ამავე რიცხვისათვის. გუშინწინ 3 ივლისს, ერთ დღეს მოიკრიფა 746,7 ტონა ჩაის ფოთოლი.

აფხაზეთში სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 44.754 ტონა ჩაის ფოთოლი, აჭარაში 31.234,5, მახარაძის რაიონში 39.013, ზუგდიდის რაიონში — 30.498, წალენჯიხაში — 13.999, ლანჩხუთში — 12.369, ჩხოროწყუაში — 10.319, გეგეჭკორში — 9.414, ჩოხატაურში — 6.700, ტყიბულის ზონაში — 5.267, წყალტუბოს ზონაში — 5.162, ხობის რაიონში 4.593, ცხაკაიაში — 4.573, წულუკიძეში — 4.113, სამტრედიაში — 1.405,7, ჭიათურის ზონაში — 722, თერჯოლის რაიონში — 575,1, ვანში — 436 და აბაშაში 276,7.

მართალია, ჩაის მეორე ვეგეტაციამ რესპუბლიკაში გამოწვია ფოთლის კრეფის ტემპის შენელება, მაგრამ საკრეფად ფოთოლი მაინც ბლომად არის შემოსული. მეჩაიეობის რაიონების მეურნეობები ხშირად ცდებიან, როცა ფიქრობენ უფრო მეტად შემოვა ფოთოლი და მაშინ გავაჩაღებთ მახორიკის კრეფასო. ეს არ არის სწორი. ჩაის ფოთოლი შემოსვლისთანავე, უყოველდღიურად უნდა ვკრიფოთ, რომ ფოთოლი არ გადაუხეშდეს და დანაკარგები თავიდან ავიცილოთ.

ვინ მოიპოვებს გარდამავალ დროშას?

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშისა და ფასიანი საჩუქრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკეფოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადა (ხელმძღვანელი — გ. ჩიქობავა). ბრიგადას მაის-ივნისის გეგმავალდებულებით უნდა მოეკრიფა 180 ტონა ჩაის ფოთოლი. მოკრეფილია 198 ტონა, რაც 40 ტონით აღემატება შარშანდელ შესაბამის პერიოდში მოკრეფილს.

დამზადებული ნედლეულის 78 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

გაანვამტკიცოთ შრომის დისციპლინა

შრომის დისციპლინის განმტკიცების ტენდენცია სულ უფრო აქტიურად მკვიდრდება საქართველოს მრეწველობაში. მაგალითად, შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები ერთ მუშაზე გაანგარიშებით. შესამჩნევად შემცირდა მთელდღიანი და ცვლისშიგა გაცდენები, მუშათა კადრების დენადობა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების რესპუბლიკური შტაბის სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს მრეწველობაში მომხდარი ეს დადებითი ცვლილებები და უყურადღება გაამახვილეს გადასაწყვეტ პრობლემებზე სხვა დარგებში. კერძოდ, გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს, მისი დარგობრივი შტაბის მისამართით. მათ ვერ უზრუნველყვეს სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, კადრების დენადობის შემცირების ზუსტი სისტემა. საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში სათანადოდ არ არის დაყენებული სამუშაო დროის დანაკარგების აღრიცხვა, მოიკოჭლებს სახელმწიფო, სახელშეკრულებო დისციპლინა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაიზარდა სამუშაო დროის დანაკარგები და მთელდღიანი გაცდენები.

რესპუბლიკურმა შტაბმა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დაავალა პროფკავშირის რესპუბლიკურ დარგობრივ კომიტეტთან ერთად სათანადო წესრიგი დაამყაროს სამუშაო დროის დანაკარგების აღრიცხვაში, მუდმივი კონტროლი დაუწესოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და რესპუბლიკურ შტაბში წარსადგენი მონაცემების უტყუარობას, აამაღლოს სამეურნეო ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა ადგილებზე საქმის ვითარებისათვის.

სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე ანგარიში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, კადრების დენადობისა და სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებისათვის აჭარის ასსრ საოლქო შტაბის მუშაობის შესახებ. შტაბის სხდომის შედეგები შეიჯამა მისმა ხელმძღვანელმა, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. მოსაშვილმა. (საქინფორმი).

ეროვნული კვლავ იცვლის კალაპოტს

წლევანდელი უჩვეულო დიდთოვლობის შემდეგ მოღონიერებულია მშფოთვარე ენგური, ალაგ-ალაგ ნება-ნება რომ მოათამაშებს ვეება ლოდებს, გრუხუნით ეხლება კლდოვან სანაპიროს, ღელავს, თითქოს ვერ შეჰგუებიაო ადამიანთა კიდევ ერთ „უცერემონიო“ ჩარევას და, მით უფრო, მოსალოდნელ „არტახებს“. საქმე ის გახლავთ, რომ აქ, ხაიშის მიდამოებში, ლალხორალის მთის კალთებზე, გაჰყავთ 442 მეტრი სიგრძის სამშენებლო გვირაბი, რომელშიც წლის ბოლოს დროებით უნდა „ჩაამწყვდიონ“ ენგური, რათა მის ძველ კალაპოტში ხუდონჰესის 200,5-მეტრიანი ბეტონის თაღოვანი კაშხალის მშენებლობისათვის გამოათავისუფლონ ადგილი.

ახლა სწორედ ამ გვირაბის თავზე ვდგავართ. ქვემოთ მძლავრი ბულდოზერები შესცდებიან ნიადაგს, ერთმანეთს ეჩაკლებიან მიწით დატვირთული თვითსაცლელები. იქვე ფუსფუსებენ დ. მუმკუდანი, ი. მაკლინარი, ბ. გოოხრელიძე, ვ. ბაიჩუკი, ჯ. კვიკვესკირი და სხვები, რომლებმაც ჯერ კიდევ ენგურჰესის უნიკალური თაღოვანი კაშხლის მშენებლობაზე მიიღეს ნათლობა და ახლა ჩვეული მუყაითობით იღვწიან ხუდონჰესსზეც. გვირაბს ენგურჰესის მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის სამმართველოს (უფროსი — მ. ჭაავა) მეშვიდე უბანი აშენებს. უბნის თავკაცი ნუგზარ თოლორდავა 1966 წლიდან ენგურჰესის მშენებლობაზე მუშაობდა, ხოლო ეს ოთხიოდე წელია აქეთ გადმოვიდა.

— ამ ორიარუსიანი გვირაბის მშენებლობის დამთავრება, — გვეუბნება ნუგზარი, — წლეულს შემოდგომისათვის გვაქვს განზრახული. მთავარი სამუშაოები თითქმის შესრულებულია. ძირითადად, გვირაბის ქვედა ნაწილის გაყვანის და დაბეტონების სამუშაოებია დარჩენილი. წლევანდელი დიდთოვლობა რომ არა, რომელმაც ძალიან შეგვიშალა ხელი რიტმულ მუშაობაში, უკეთესი შედეგები გვექნებოდა. არადა, გვირაბის დამთავრება ძალზე საშური საქმეა, რადგან სწორედ ენგურის კალაპოტის გამოთავისუფლების შემდეგ დაიწყება ხუდონჰესის კაშხლის ქვაბულის დამუშავება. ამ მიზნით ენგურის პატარა შენაკადს ლეხარასაც გვირაბით შეუცვლიან მიმართულებას...

სულ ხუდონჰესის მშენებლობის დაწყების დღიდან აქ შესრულებულია 17.665 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რაც მნიშვნელოვად აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. სამუშაოთა ტემპი კი თანდათან მატულობს. ამატომაც არის, რომ მშენებლებმა წლეულს შარშანდელთან შედარებით ბევრად მეტი — 5.526 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა შეასრულონ. იზრდება მასზე დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი.

წლევანდელი წლის დასაწყისი დიდთოვლობის გამო ხუდონჰესელთათვის წარუმატებელი გამოდგა, ვერ შესრულდა იანვრის საგეგმო დავალებანი. თუმცა ამინდს არც მერე გაუნებივრებია მშენებლები, მაგრამ სწორედ ამ მკაცარ კლიმატურ პირობებში განსაკუთრებით წარმოჩნდა მათი ორგანიზებულობა და მონდომება, საქმის სიყვარული და ვაჟკაცობაც. ყოველივე ამან თავისი გაიტანა მომდევნო თვეებში. მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა და ახლა საქმე კარგად მიდის.

მკაცრი და ზვიადია სვანეთის მთები, ზოგჯერ დაუნდობელიც. მით უფრო ზამთარში, როდესაც თითქმის ორმეტრიანი თოვლის საფარით დაფურსული მათი ფერდობები ზვავითა და წალეკვით ემუქრება ადამიანსაც და მის ნახელავსაც. ამატომაც ზამთარში აქ ერთთავად შემართული და დამუტაკული უნდა იყო კაცი. ზემოთ მშენებელთა ვაჟკაცური ხასიათი ვახსენეთ, და ეს შემთხვევითი არ არის. ამის დასტურია, თუნდაც, ის მკაცრი გამოცდა, რომელიც მათ ადრიან გაზაფხულზე უჩვეულო დიდთოვლობამ მოიწყო. სარკამარტიდან ჩამოწოლილმა ზვავმა მთლიანად გადაკეტა ჯვარი, ხაიშის გზის დიდი მონაკვეთი. მშენებლები დროებით ყველაფრისგან მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ. ამას ისიც დაემატა, რომ მაშინ მშენებელთა დროებითს დასახლებაში მხოლოდ ორი მორიგე მექანიზატორი — ა. დავითთანი და ჯ. ჭკადუა — იყო (სხვები სადღესასწაულოდ ოჯახებში წასულიყვნენ). ორი დღე-ღამის განმავლობაში შეუსვენებლივ მუშაობდნენ. ბულდოზერებსაც კი უჭირდათ თოვლის უზარმაზარი მასის ადგილიდან დაძვრა, მაგრამ მექანიზატორების — ა. დავითთანის, ჯ. ჭკადუას, აგრეთვე ზეინკალ ტ. ჯაბაიას, სამთო ოსტატის დ. ჯოლოხავას, გვირაბგამყვან გ. ქობალიას და სხვათა ვაჟკაცობამ თავისი გაიტანა. 18 კილომეტრი გზა გაწმინდეს ჯვრის მიმართულებით. იქიდან კი სხვები წშენდნენ სავალ ნაწილს ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინრის უ. გოჯიაშვილის მეთაურობით. აღდგა მოძრაობა. მშენებლობაზეც და მესტიაშიც შეიტანეს სურსათ-სანოვაგე...

ვათვალიერებთ მშენებლობას, აშენებულ (მშენებლობის დაწყებიდან დღემდე იქ უკვე ჩადგა მწყობრში 250-მეტრიანი სატრანსპორტო გვირაბი, ენგურზე გადასასვლელი ასაწყობ-დასაშლელი რკინის ხიდი, მშენებელთა დროებითი საცხოვრებელი დაბა, პირველი რიგის ბეტონის ქარხანა, ავტოსატრანსპორტო ბაზა, რეკონსტრუირებულია ჯვარ-ხაიშის გზის დიდი მონაკვეთი და სხვ.) და ამჟამად მშენებარე ობიექტებს. ყველა ძირითადი ნაგებობა, გვეუბნება თ. წულეისკირი, უკვე აშენებულია, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ახლა ვაშენებთ მუდმივმოქმედ მძლავრ ბეტონის ქარხანას, ორ სატრანსპორტო გვირაბს, მექანიზაციის ბაზას, სხვა ობიექტებს.

ასე რომ, მშენებლობაზე სამუშაოთა ფრონტი თანდათანობით მატულობს, იზრდება იქ მომუშავეთა რიცხვიც და მათი ენთუზიაზმიც. ყარინინელი შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ჯ. მარხულიასა და დ. მუშკუდიანის გვირაბგამყვანთა ბრიგადის წევრები, მექანიზატორები ა. დავითთანი, ვ. შაოვალოვი, დ. გუთნაკი, ნ. ღურწკაია, მძღოლები მ. თოლორაია, ა. ფიფია, გ. ქერქალაშვილი, რ. ომანაძე, მბურღავები ხ. ჭანტურია, ს. თედეევი, სამთო ოსტატები კ. ლემონჯავა, თ. კვირკველია, ვ. დავითთანი, სამუშაოთა მწარმოებლები ა. ხუნდაძე, ზ. ჭკადუა და მრავალი სხვა, რომლებიც დავალებებს დიდი გადაჭარბებით და ხარისხიანად ასრულებენ...

ენგური კი ჯერჯერობით კვლავ ძველი კალაპოტით მიედინება. მაგრამ მალე იგი დროებით შეიცვლის გეზს, რათა შემდეგ, თავის ძველ კალაპოტში წამომართული კაშხალის მეშვიდით სამშობლოს სიხარულის მომტანი ახალი მძლავრი ელექტროენერგია შემატოს.

რ. რუსია.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

სურათზე: ხუდონჰესის მშენებლობის მოწინავე მშრომელთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) მბურღავი დ. მუშკუდიანი, გვირაბგამყვანი გ. ჯახაია, მებეტონეები ჯ. კვიკვესკირი, და დ. ზაქარაია, მძღოლი რ. ჭკადუა, ცვლის უფროსი რ. ლუკავა.

თ. ფუტკარაძის ფოტო.

საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკება

4 ივლისს კრემლში გაიმართა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ა. კოსტანდოვი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ჰელმუტ კოლი და ფედერალური კანცლერის მოადგილე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი.

საქმიან და გულახდილ ატმოსფეროში მიმდინარე მოლაპარაკების დროს განიხილეს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის საკითხები და თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე აქტუალური პრობლემები.

საბჭოთა მხარემ აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ურთიერთობისადმი საბჭოთა კავშირის პრინციპული მიდგომა ემყარება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. აქედან გამომდინარე, 70-იან წლებში სსრ კავშირმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ 1970 წლის 12 აგვისტოს დადებულ მოსკოვის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით დიდი მუშაობა გასწიეს, რათა თავიანთი ურთიერთობა წარემართათ ნორმალური კალაპოტით ორმხრივი პატივისცემის, მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომი განვითარების შედეგად დამკვიდრებულ ტერიტორიულ და პოლიტიკურ რეალობათა ცნობის საფუძველზე.

მხარეებმა საჭიროდ ცნეს გაფართოვდეს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტრუქციული თანამშრომლობა, და აღნიშნეს, რომ საამისოდ არის ობიექტური წანამძღვრები.

დადასტურდა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობა, რომელსაც საგრძნობი ორმხრივი სარგებლობა მოაქვს, დადებითს გავლენას ახდენს მთლიანად მათს ურთიერთობაზე. ამ ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისათვის არის ყოველივე საჭირო. მას შექმნილი აქვს სოლიდური სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა. შეძენილია საქმეთა წარმოების მნიშვნელოვანი გამოცდილება.

გამოითქვა ორმხრივი აზრი, რომ ეკონომიკური ურთიერთობის პრაქტიკულ განხორციელებაში სასარგებლო როლს ასრულებს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისია.

მოლაპარაკების მონაწილეებმა საჭიროდ ცნეს აგრეთვე განავითარონ კონტაქტები პარლამენტების, პროფკავშირების, ახალგაზრდული ორგანიზაციების ხაზით, აგრეთვე გაცვლა მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დარგში.

საერთაშორისო საკითხთა განხილვისას დიდი ყურადღება დაეთმო ევროპის ურთიერთობის უზრუნველყოფის პრობლემას, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ დგება იმ გეგმებთან დაკავშირებით, რომელთა მიზანია დასავლეთ ევროპაში, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განალაგონ ახალი ამერიკული საშუალო სიშორის ბირთვული იარაღი.

საბჭოთა მხარემ გამოთქვა იმედი, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა გაითვალისწინებს პასუხისმგებლობას, რომელიც მას ეკისრება ასეთ სიტუაციაში, და დაადგება ამ საკითხში რეალისტურ პოზიციას, რომელიც შეესაბამება მშვიდობისა და ბირთვული ომის თავიდან აცილების ინტერესებს.

აზრთა გაზიარების დროს გაეშუქეს აგრეთვე საკითხები, რომლებიც ეხება ვენის მოლაპარაკებას ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ორმხრივი შემცირების შესახებ, აგრეთვე საქმეთა მდგომარეობას მადრიდის შეხვედრაზე. მხარეებმა საჭიროდ ცნეს რაც შეიძლება მალე დამთავრდეს მადრიდის შეხვედრა და მოწვეულ იქნეს ევროპაში ნდობის, უშიშროების განმტკიცებისა და განიარაღების ღონისძიებებისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

თავის მხრივ, ჰ. კოლმა მხარი დაუჭირა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის გაღრმავებასა და გაფართოებას სხვადასხვა დარგში. ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს უნდა იყოს კეთილმეზობლობის ურთიერთობა, რომელსაც ხანგრძლივი ხასიათი ექნება, ამ ურთიერთობის ამოსავალი პუნქტი უნდა გახდეს მოსკოვის ხელშეკრულების, სხვა ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დაცვა.

ჰ. კოლმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა მშვიდობის და ძალის გამოყენებაზე უარის თქმის პოლიტიკის ერთგულია. ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნატოს წევრობა.

შეეხო რა ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტული იარაღის საკითხს, კანცლერმა გაიმეორა ცნობილი არგუმენტაცია ნატოს „ორმაგი გადაწყვეტილების“ სასარგებლოდ. (საქინფორმი).

საბჭოთა ჰ. კოლი და ჰ.-დ. გენშერი მოსკოვს ჩამოვიდნენ

საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით 4 ივლისს მოსკოვს ჩამოვიდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ჰ. კოლი და ფედერალური კანცლერის მოადგილე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ.-დ. გენშერი.

აეროდრომზე სტუმრებს დახვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

სურათზე: აეროდრომზე დახვედრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში

1983 წლის 29 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით ბალტიისპირეთის, ბელორუსიის სამხედრო ოლქების ტერიტორიაზე და ბალტიის ზღვის აკვატორიაში მოეწყო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჯარებისა და ფლოტის ძალების წვრთნა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის ხელმძღვანელობით.

წვრთნის დროს იხვეწებოდა სახეობათა და გვაროებათა ჯარების შენაერთებისა და ნაწილების ერთობლივი საბრძოლო მოქმედების დროს საბრძოლო შეთანხმებულობისა და თანამოქმედების საკითხები.

ხელმძღვანელობის შეფასებით, წვრთნამ ორგანიზებულად ჩაიარა და საყურადღებო იყო. წვრთნამ ცხადყო შტაბების ოპერატიულ-ტაქტიკური მომზადების, ჯარებისა და ფლოტის ძალების საველე, საჰაერო და საზღვაო გაწვრთნილობის გაზრდილი დონე.

წვრთნის მიზნები მიღწეულია. წვრთნის მონაწილე ჯარები, ფლოტის ძალები და შტაბები ბრუნდებიან მუდმივი დისლოკაციის ადგილებში.

მისალოცი დეპეშა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რონალდ უ. რეიგანს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო. დეპეშაში ულოცავენ, აგრეთვე მშვიდობასა და კეთილდღეობას უსურვებენ ამერიკელ ხალხს. (საკდესი).

PRAVDA

ივლისის მოწინავე

გაანმაცხორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი!

ᲣᲜᲓᲐ ᲣᲨᲠᲣᲜᲕᲔᲚᲕᲧᲝᲗ... ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲛᲝᲣᲚᲘ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲫᲙᲘᲪᲔ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲔᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

Ი. Ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘ.

ᲔᲥᲘᲛᲑᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ

გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელშიც განიხილა რესპუბლიკის მეცნიერთა ამოცანები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. კრების გახსნისას რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა ივნისის პლენუმმა, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლამ ახლებურად წარმოაჩინეს ქვეყნის მეცნიერთა როლი დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში. დღეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერთიან მეცნიერულ-ტექნიკურ პოლიტიკას. დიდი მუშაობაა გასაწევი ახალი მანქანა-მექანიზმების შექმნის, წარმოების ავტომატიზაციის, სახალხო მეურნეობაში კომპიუტერებისა და რობოტების შემოშვებისა-დანერგვისთვის, ეს შრომის ნაყოფიერების კარდინალური გადიდების ერთ-ერთი ძირითადი წანამძღვარია. დღის წესრიგში დგას აგრეთვე წინასწარ გათვალისწინებულ თვისებებიანი მასალების მიღება, ბიოტექნოლოგიის განვითარება, მრეწველობაში უნარჩენო ტექნოლოგიის ფართო გამოყენება.

პარტიისა და ხალხის მეცადინეობა სულ უფრო მეტად ხმარდება განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების გიგმაზომიერსა და ყოველმხრივ სრულყოფას. ამ პროცესში უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მეცნიერებმა.

მოხსენება „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი და ქართველ მეცნიერთა ამოცანები პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, გააკეთა რესპუბლიკის მეცნირებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ე. სეხნიაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმზე, — თქვა მან, — განსაზღვრა პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. ამ საკითხთა გადაწყვეტაში საქართველოს მეცნიერებმა თავიანთი სიტყვა უნდა თქვან.

აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში მიმდინარეობს კვლევითი მუშაობა წარმოების სრულყოფისა და მასალის მომჭიერნედ ხარჯვის 80-ზე მეტ კონკრეტულ პრობლემაზე. განსაკუთრებით საგულისხმო შედეგები მიიღეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის, გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის, მცენარეთა ბიოქიმიის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტების, კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის, პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის სპეციალისტებმა და სხვა.

წარმატებით წყვეტენ ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიც არის კოროზიისგან ლითონების დაცვა, ახალი კონსტრუქციული მასალების შექმნა, ფხვნილთა მეტალურგია, ეკონომიური შიდაწვის ძრავების შემუშავება, მანგანუმის მადნის მოპოვებისა და გადამუშავების ეფექტიანი ტექნოლოგია, ახალი ბიოტექნოლოგიური პროცესების კვლევა-შემუშავება ცილების, სამუალებების შემუშავებას. ამასთან, რესპუბლიკაში უკვე წარმოებს კონკრეტული მუშაობა ამ მიმართულებით სპეციალური კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის მიხედვით. საკმარისი არ არის არც აკადემიის ინსტიტუტების მუშაობა რობოტექნიკისა და სხვადასხვა მანიპულატორების, ავტომატიზაციისა და წარმოების მექანიზაციის საშუალებათა შესაქმნელად.

განხილული საკითხის გამო მიღებულია დადგენილება.

გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნისა და განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნების, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ე. სეხნიაშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნად არჩეულია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. სეხნიაშვილი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნად არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. აფაქიძე, გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივნად — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. გომელაური.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ჯ. ლომინაძე დაინიშნა მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად „დინამიკის, მანქანათა სიმტკიცის“ სპეციალობით (ქ. ქუთაისი) არჩეულია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. ადამია. (საქინფორმი).

ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲘᲡᲗᲐ — 83

ᲐᲒᲘᲜᲘᲜᲔ, გაზაფხული მერცხალს მოჰყავსო. თუ ასეა, წელს ძალზე ადრე მოიყვანა და ზამთარმაც ჩვეულებრივზე ადრე დაუთმო გზა გაზაფხულს. ადრე გაიღვიძა ბუნებამ.

სოფლის მშრომელებმა ისარგებლეს თებერვლის თბილი დღეებით და წარმატებით დაამთავრეს მინდვრის სამუშაოები, დათესეს მარცვლეული და სხვა კულტურები.

თვალწარმტაცია ზაფხულის ამ დღეებში ალაზნის ველი. აქ, მდინარის ჭალებში, მის გარშემო მიწებზე, მთელ კახეთის ველზე მოჩანს უზარმაზარი ოქროსფერი და მწვანე კვადრატები, ეს პურის ყანები ღელავს და ვენახები ხასხასებს მწვანედ.

ყველაფერი ამოძრავდა. განუწყვეტლივ ისმის მოტორების გუგუნი. სოფლის გზებით სამკალში მიდიან კომბაინები. მათ ხვდებიან მარცვლეულით მძიმედ დატვირთული ავტომობილები. ალაზანი დიიწყო შირაქის ველზე, ტარიბანაში. აქ უკვე რამდენიმე ასეულ ჰექტარზე აიღეს ქერის მოსავალი.

მიდიხარ შირაქის ველზე, ირგვლივ პურის ყანებია, თვალს იტაცებს დამწიფებული თავთავი. მაგრამ ყველგან ერთნაირად როდია. აქა-იქ მზესა და ხორშაკს დაუწვავს ყანა. ზოგან პური დაბალია, ზოგან ჩაწოლილა...

პარტიის წითელწყაროს რაიკომში პირველ მდივანს გივი ჭიორაქაშვილს ვესაუბრეთ. ხუთწლედის მესამე, განმსაზღვრელმა წელმა, თქვა მან, უნდა გვიჩვენოს, შეძლებენ თუ არა რაიონის მხვნელ-მთესველები მიმდინარე წლის გეგმის შესრულებას და მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ორი წლის დანაკარგის ანაზღაურებას.

რაიონის მშრომელები ცდილობენ საუკეთესო ვადებში და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, საქმით უპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, გეგმა ძალზე დაძაბული გვაქვს. წელს სახელმწიფოს 56.900 ტონა მარცვლეული, 57.400 ტონა ყურძენი, 4.453 ტონა ხორცი და სხვა პროდუქტი უნდა მივიყიდოთ.

ასეთი მატება შეუძლებელია, თუ მთელი არსებული რეზერვები არ გამოვიყენეთ. მარცვლეულის წარმოება ორი მიმართულებით იმატებს. ბიცობი მიწების ათვისებით (ჩვენ 6.500 ჰექტარი ასეთი ნიადაგები გვაქვს) და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით — ეს არის სიმეჩხრისა და დასარეწლიანების აღმოფხვრა, აგროქიმიის გამოყენება და სხვა.

მარცვლეულის დანაკარგების გზაზე საიმედო დაბრკოლება უნდა აღვმართოთ. სამუშაო ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მინდვრად, როგორც იტყვიან, ერთი თავთავიც კი არ დარჩეს, რომ კალოებზე და გადაზიდვის დროს არც ერთი მარცვალი არ დაიკარგოს. ერთი სიტყვით, საქმეს აყირავებინად უნდა გავუძღვეთ. ჩვენ რაიონში მთელი მიმდინარე წლის გეგმა შევიმუშავეთ, რომელშიც მითითებულია ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ვადები.

ამ ბოლო წლებში რაიონის მშრომელებს რთული ამინდის პირობებში უხდებათ მუშაობა. ამასთანავე, იქაც კი, სადაც სტიქიამ თავი აიწყვიტა, მშრომელებმა შეძლეს დაეპირისპირებინათ მისთვის შეუპოვრობა და მუყაითობა, თავდადებული, ხშირად გმირული შრომა. ასე იყო, მაგალითად, ზამო ქედის კოლმეურნეობაში, სადაც უამინდობის მიუხედავად სახელმწიფოს 10 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მივიყიდეთ...

რა შენდება ან აშენდა წითელწყაროს რაიონში?

ამ ხუთწლედში ახალი დიდი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შექმნასთან დაკავშირებით აშენდება ახალი სოფელი — ფიროსმანაშვილი. აქ 500 საცხოვრებელი სახლი აიგება. პროექტდება შირაქის მძლავრი საკვებგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, წითელწყაროში რამდენიმე მრავალბინიანი კომუნალური და უწყებრივი საცხოვრებელი სახლი აღიმართება. დამთავრდება სპორტული კომპლექსის მშენებლობა. მიმდინარეობს ქუჩებისა და გზების კეთილმოწყობა.

განსაკუთრებული საკითხია სარეტრანსლაციო კოშკის მშენებლობა. ეს სამუშაოები მეტისმეტად გაჭიანურდა, უმისოდ კი თორმეტი სოფლიდან ტელეგადაცემებს მხოლოდ სამ სოფელში იღებენ. რაიონში საკუთარი ძალებით ავაგეთ შენობა იმ მოწყობილობის დასადგმელად, რომლის ნაწილი უკვე მივიღეთ. მზადდება თვითონ კოშკიც. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვკითხო „კომუნისტის“ მეშვეობით მივმართო რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს, რომ დაიჩქაროს სამონტაჟო სამუშაოები...

ვიყავით სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში, სადაც ვესაუბრეთ მის თავმჯდომარეს, სოციალისტიური შრომის გმირს ნიკო ყოჩიაშვილს. ამას წინათ ჩვენს მეურნეობაში, თქვა მან, შეიქმნა უგანწესო ბრიგადა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოცდილი მექანიზატორი უშანგ ლეკაშვილი. მის შექმნაში დიდად დაგვეხმარა საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტებისა და ეკონომიკური პროგნოზირების ინსტიტუტი. საწარმოო ნორმატივებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილების უფროსის გიორგი გოგოლაძის ხელმძღვანელობით შედგენილია უგანწესო ბრიგადის საინჟინრო პროექტი. ბრიგადა მოსავალს აიღებს, სამეგობროო სამუშაოებს განახორციელებს და ამით საფუძველს ჩაუყრის მომავალი წლის მოსავალს. მისთვის გამოყოფილია 25 ტრაქტორი, შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღი. ტექნიკის ყოველგვარ მიმდინარე რემონტს და მომსახურებას სა-

ᲨᲘᲠᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲙᲣᲠᲓᲐ ᲯᲔᲯᲘᲚᲘ...

უნდა მოვაწყოთ, რომ მინდვრად, როგორც იტყვიან, ერთი თავთავიც კი არ დარჩეს, რომ კალოებზე და გადაზიდვის დროს არც ერთი მარცვალი არ დაიკარგოს. ერთი სიტყვით, საქმეს აყირავებინად უნდა გავუძღვეთ. ჩვენ რაიონში მთელი მიმდინარე წლის გეგმა შევიმუშავეთ, რომელშიც მითითებულია ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ვადები.

ამ ბოლო წლებში რაიონის მშრომელებს რთული ამინდის პირობებში უხდებათ მუშაობა. ამასთანავე, იქაც კი, სადაც სტიქიამ თავი აიწყვიტა, მშრომელებმა შეძლეს დაეპირისპირებინათ მისთვის შეუპოვრობა და მუყაითობა, თავდადებული, ხშირად გმირული შრომა. ასე იყო, მაგალითად, ზამო ქედის კოლმეურნეობაში, სადაც უამინდობის მიუხედავად სახელმწიფოს 10 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მივიყიდეთ...

— ამბობენ, ახალგაზრდობა სოფლიდან ქალაქს ელტვისო. მე ასე ვიტყოდი, ჩვენს კოლმეურნეობაში ამას მასობრივი ხასიათი არა აქვს. ჩემი აზრით, ეს იქ ხდება, სადაც ახალგაზრდობაზე დიდად არ ზრუნავენ, აღზრდა სიყრმიდანვე არის საჭირო. უნდა შევაყვაროთ ყმაწვილებს მიწა, შევუქმნათ შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და მოსვენების პირობები. როცა კაცი მიწას შეიყვარებს, უმიზეზოდ არასოდეს არ მიატოვებს.

... მალე გაფართოვდება მოსავლის აღების ფრონტი. დაიწყება პურის მასობრივი მკა. რამდენად მომზადებულია ალოობისათვის სოფლტექნიკის წითელწყაროს რაიონული განყოფილება? — ვკითხეთ მის მმართველს გივი ღვინიაშვილს.

— ტექნიკის მთელი პარკი, თქვა მან, ძირითადად მზად არის მოსავლის ასაღებად. მაგრამ სათადარიგო ნაწილების საქმე ვერა გვაქვს კარგად. მაგალითად, სრულიად არა გვაქვს კომბაინებისა და დტ-75 მ ტრაქტორების, აგრეთვე არც ერთი მარკის სატვირთო ავტომობილის აგრეგატები. რაიონში გვაკლია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და იარაღი. არ გვყოფნის ტრაქტორისტები. იმის გამო, რომ რაიონული საერთო დანიშნულების სარემონტო სახელოსნო გათვალისწინებული არ არის სასოფლო-სამეურნეო მანქანების კაპიტალური შეკეთებისათვის, იძულებული ვართ, მაგალითად, ძრავები შესაკეთებლად ასობით კილომეტრზე გაგგზავნოთ. ყოველივე ეს საგანგაშო მდგომარეობას ქმნის. ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ რომელიმე, თუნდაც წვრილმანი დეტალის უქონლობის გამო კომბაინი თუ ტრაქტორი მოკდეს. ერთი სიტყვით, საქმე სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. შედეგებს მოსავლის აღება გვიჩვენებს.

მაშ ასე, ალაზნისა და შირაქის ველზე დაიწყო დიდი პურისთვის ბრძოლა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲔᲑᲖᲔ: უგანწესო ბრიგადის ხელმძღვანელი უშანგ ლეკაშვილი; კომბაინერები ლადო ნახარაშვილი (მარცხნივ) და ალექსანდრე სულაშვილი; პურის მკა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში.

ᲐᲒᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ქვეყნის სახალხო კონტროლის ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების კამპანია. ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია 9 სახალხო კონტროლის საწარმოო კომიტეტი, 10190 მეთაური და 9182 შემავალი ჯგუფი და 12961 საგუშაგო, რომლებშიც 235 ათასზე მეტი წარმოების მოწინავე და შრომის ვეტერანია გაერთიანებული, საგულისხმოა, რომ სახალხო კონტროლიორთა საერთო რაოდენობის 62,5 პროცენტს შეადგენენ მუშები და კოლმეურნეები.

ბევრმა პარტიულმა კომიტეტმა განაახლა დადებითი პრაქტიკა და შექმნა ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის კოორდინაციისა და ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბები, რომლებსაც მდივნები ედგნენ სათავეში. კრებების მომზადებასა და მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების ბიუროების წევრებმა, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის აპარატის, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

უკვე კამპანიის დასაწყისშივე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა განაზოგადა და გავრცელების რეკომენდაცია მისცა წულუკიძის რაიონში ანგარიშგება-არჩევნების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკას. შემდეგ კომიტეტმა კიდევ ორჯერ იმსჯელა მიმდინარე კამპანიასთან, დაკავშირებულ საკითხებზე. კრებებისა და კონფერენციების მომდინარეობა განიხილეს პარტიის 76 საქალაქო და რაიონული კომიტეტის ბიუროების სხდომებზე.

ამ და სხვა განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ორგანიზაციულად განმტკიცდა სახალხო კონტროლის ორგანოები, მოხდა მათი თვისებრივი გარდაქმნა. კერძოდ, ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში მრავალრიცხოვანი საგუშაგოების ნაცვლად შეიქმნა სახალხო კონტროლიორთა ჯგუფები. ჯგუფებისა და საგუშაგოების მეთაურობის ამაღლებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მთმმა პარტიულმა ბირთვმა, რომელიც ამჟამად საერთო შემადგენლობის 42,7 პროცენტს შეადგენს. ჯგუფების თავმჯდომარეთა 96 პროცენტს შეადგენენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნთა მოადგილეები, პარტკომის, პარტბიუროს წევრები. „კომკავშირულ პროექტორთან“ სახალხო კონტროლის ორგანოების კავშირის განმტკიცებას შეუწყობს ხელს ის გარემოება, რომ კონტროლიორთა რიგებში არჩეულია კომკავშირელთა 20 პროცენტი.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები სახალხო კონტროლის ძირეული ორგანოების სიმწიფის ერთგვარი გამოცდა გახდა. შრომითი კოლექტივები პრინციპულად, დიდი დაინტერესებით მიუდგნენ მათი მუშაობის შეფასებას, საქმიანად განიხილეს თითოეული ჯგუფისა და საგუშაგოს წვლილი საერთო-საწარმოო მიღწევებში. მომთხოვნელობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროო, რომელიც მეტ წილ კრებებზე სუფევდა, ხელს უწყობდა ქმედითი სამერმისო პროგრამის შემუშავებას, სახალხო კონტროლიორთა უკეთეს ორიენტაციას კოლექტივებისათვის ყველაზე აქტუალური, საკვანძო მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანების გადასაწყვეტად.

ანგარიშგება-არჩევნების შედეგების მიხედვით არადამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული სახალხო კონტროლის მხოლოდ 378 ჯგუფის საქმიანობა, ამასთან მრავლად გამოითქვა პრეტენზიები და კრიტიკული შენიშვნები მათი არასაკმარისი აქტიურობისა და ქმედითობის, დაშვებული შეცდომების გამო. შემდგომი რეალიზაციისთვის აღრიცხვაზეა აყვანილი 50 ათასზე მეტი წინადადება და შენიშვნა, რომლებიც შეეხება როგორც სამეურნეო საკითხებს, ისე თვით სახალხო კონტროლის ორგანიზებას საქმიანობას. ყოველი მათგანის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებანი. კრებებზე ასეთ გულახდილ დიალოგს ხელს უწყობდა ინფორმაცია სახალხო კონტროლის ადგილობრივი კომიტეტების საქმიანობის შესახებ, რომლითაც კოლექტივების წინაშე გამოდიოდნენ მათი წარმომადგენლები.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო დადებითს ფონზე იყო კრებების არადამაკმაყოფილებელი მომზადების, ფორმალური ჩატარების შემთხვევებიც. ზნაურის, გალის, ლანჩხუთის რაიონების ზოგიერთ საწარმოში არ იყო საკმარისი კრებებზე დასწრება, ცალკეული ჯგუფების მიერ წარმოდგენილი საანგარიშო მოხსენებანი არ შეიცავდა გაწეული მუშაობის კრიტიკულ ანალიზს. გუდაუთისა და თიანეთის რაიონებში არასაპატიო მიზეზით გადაიტანეს კრება, ხოლო ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის მაკარონის ფაბრიკაში საანგარიშო-საარჩევნო კრება საერთოდ ისე ჩაატარეს, რომ არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო ქვორუმი. ამ ფაქტზე იმსჯელა პარტიის რაიკომის ბიურომ და კრება ხელახლა გაიმართა.

მშრომელთა აზრის, მოთხოვნებისადმი უყურადღება განვლილი კამპანიის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი გახდა, კრებებსა და კონფერენციებზე ანგარიშგება-არჩევნების პრაქტიკაში პირველად მოეწყო ადგილობრივ ორგანიზაციათა გამოსვლები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც განხორციელდა საამქრო ჯგუფების კრებებზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებთან დაკავშირებით. ახლა კოლექტივები კომიტეტებისაგან იღებენ იგრეთ წოდებულ დასაბრუნებელ ინფორმაციას სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფების კრებებზე წამოყენებული საკითხებისა და წინადადებების გადაწყვეტის შესახებ. აღვნიშნავთ, რომ სახალხო კონტროლის 69 ადგილობრივმა კომიტეტმა შეიტანა საკითხები კრიტიკული შენიშვნების შესახებ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებში გადასაწყვეტად.

მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის კონფერენციაზე სოციალისტიური შრომის გმირმა მეჩაიე ტ. ტაკიძემ გააკრიტიკა გამგეობა იმის გამო, რომ იგი არ ზრუნავს ციტრუსის ბაღების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. აქ წლების მანძილზე ირგვებოდა ათასობით ნერგი, რომლებიც შემდეგ იღუპებოდა ცუდი მოვლის შედეგად. კონფერენციის დავალებით მეთაურმა ჯგუფმა დაუყოვნებლივ მიიღო ზომები ბაღების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის: კოლმეურნეობაში უკვე დაირგა დამატებით 250 ათასი ძირი ციტრუსი, რომლებსაც აგროტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად ფვლიან.

ანდა, ავიღოთ მეორე მაგალითი, რუსთავის სახლთსაშენებელ კომბინატში სოციალისტური შრომის გმირმა, მემონტაჟეთა ბრიგადიმა, სახალხო კონტროლიორმა შ. მოდებაძემ გამოთქვა აზრი, რომ საწარმოს შეუძლია ნაკლები დანახარჯებით გამოუშვას ფერადცემენტნარევი საკედლე პანელები, რომლებიც ძალზე სჭირდება მშენებლობებს. ეს საკითხი ჯგუფმა კომბინატის ადმინისტრაციისა. და პარტიული კომიტეტის წინაშე დააყენა. ჯგუფის ინიციატივის შედეგად უკვე დაიწყო ახალი პროდუქციის გამოშვება, რაც ხელს შეუწყობს საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადების შემცირებას, მშენებლობის ხარისხის ამაღლებას, შენობათა გარეგნული იერსახის გაუმჯობესებას, სხვა სამუშაოებისათვის გაათავისუფლებს მუშახელის ნაწილს.

ასეთი მაგალითები მრავლად შეგვიძლია დავასახელოთ. სულ რესპუბლიკაში ადგილობრივმა სამეურნეო ხელმძღვანელებმა გამოსცეს 2500-ზე მეტი ბრძანება და განკარგულება სახალხო კონტროლიორთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციისათვის. ამ შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის საკითხზე საგანგებოდ იმსჯელა საქართველო ს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა. მიღებულია შესაბამისი დადგენილება, რომელშიც ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებს რჩევა ეძლევათ. განახორციელონ ღონისძიებანი მათი მისამართით გაკეთებული კრიტიკული შენიშვნებზე.

ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული სახმინა-კომუნალური მეურნეობისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებში. საქმეინად გამოეხმაურა კრიტიკას რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლქიმიაც“, რომელმაც დაუყოვნებლივ განახორციელა ღონისძიებანი საქვეუწყებო ორგანიზაციათა მინერალური სასუქით და შხამქიმიკატებით რიტმიული მომარაგების უზრუნველსაყოფად.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები შეეხებოდა არა მარტო სამეურნეო პრობლემებს, არამედ აგრეთვე იმ ნაკლოვანებებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ არის სახალხო კონტროლის კომიტეტებს, ჯგუფებისა და საგუშაგოებისა და ცალკეული კონტროლიორების მუშაობაში. ამიტომ იყო, რომ ანგარიშგება-არჩევნების დამთავრებისთანავე კომიტეტებმა ყოველმხრივ გააანალიზეს მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკა და განახორციელეს ღონისძიებანი, რათა აამაღლონ შემოწმებათა ეფექტიანობა, გააძლიონონ მათი ზემოქმედება საწარმოო მაჩვენებლებზე, გააქტიურონ სახალხო კონტროლიორთა ის ნაწილი, რომელიც პასიურობს, აღმოფხვრან ფორმალიზმის ელემენტები ჯგუფებისა და საგუშაგოების ხელმძღვანელობაში.

მაგალითად, ენისლის საბჭოთა მეურნეობისა და გავეხის კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გააკრიტიკეს. ყვარლის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტი. კერძოდ, გამოითქვა საყვედურები იმის გამო, რომ კომიტეტის ზოგიერთი შტატგარეშე ინსპექტორი, რომლებიც ჯგუფებზე არიან მიმაგრებულნი მათთვის დახმარების გასაწევად, ფორმალურად ეკიდება დაკისრებულ დავალებას: არ მონაწილეობენ ცალკეული შემოწმებების მომზადებასა და მოწყობაში, ჯგუფების კრებებზე შემოწმების შედეგების განხილვაში და ა. შ. ახლა რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ჩინადად უწევს მუდმივ კონტროლს შტატგარეშე ინსპექტორების სამუშაო გეგმების შესრულებას.

გეგეჭკორის რაიონში სოფელ დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობისა და სოფელ გურძემის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის, სოფელ დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეების რწმენებულთა კრებაზე გამოითქვა კრიტიკული შენიშვნა იმის გამო, რომ ეშვიათად იწყობა მასობრივი შემოწმებანი, რეიდები სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მონაწილეობით. ამასთან დაკავშირებით უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი: მოეწყო ჩაის ბუჩქის მოგლისა და ფოთლის კრეფის ხარისხის შემოწმების მასობრივი რეიდები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების სახალხო კონტროლის ჯგუფებმა და საგუშაგოებმა.

ანგარიშგება-არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად გვესახება კონტროლიორთა ახალი რაზმის აქტიურად განწყობა. კრებებისა და კონფერენციების დამთავრებისთანავე ჯგუფები და საგუშაგოები დაუყოვნებლივ შეუდგნენ თავიანთ მოვალეობათა შესრულებას, მოაწყვეს ბირეული შემოწმებანი. მათს მიმდინარეგეგმებს საფუძვლად დაედო მშრომელთა კრიტიკული გამოსვლები საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

მაგალითად, სსრ კავშირის საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ქ. თბილისი) მეთაურმა ჯგუფმა პირველი შემოწმება მიუძღვნა სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის საკითხებს. შემოწმებით გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები ინსტიტუტის საექსპერიმენტო სახელოსნოებში, რომლებიც ამ ზადებდნენ და გარეშე პირებზე ჰყიდდნენ ხისა და რკინის კარებს, დირექტორის ბრძანებით შემოწმების მასალების საფუძველზე სამუშაოდან დაითხოვეს სახელოსნოს გამგე და მისი მოადგილე, მოაწესრიგეს მატერიალურ ფასეულობათა შენახვის სისტემა და აღრიცხვა.

სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფმა შეამოწმა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადყოფნის მდგომარეობა. შემოწმებამ ცხადყო, რომ ცალკეულ ნაკვეთებში არ შეიტანეს მინერალური სასუქები, კოლმეურნეობა არ უზრუნველყვეს საკმარისი რაოდენობის სიმინდის თესლით, გააჭიანურეს ტრაქტორების შეკეთება. ჯგუფმა განიხილა შემოწმების შედეგები და კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე დააყენა საკითხი მთავარი აგრონომისა და ინჟინერ-მექანიზატორის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. განხორციელდა და განსახორციელა კონკრეტული ღონისძიებანი შტატგარეშე აქტივისა და სახალხო კონტროლიორთა მთელი შესაძლებლობების სრული გამოყენებისათვის. მცხეთის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის სოფლის მეურნეობის შტატგარეშე განყოფილების მაგალითით განისაზღვრა კონტროლის ყველაზე ქმედითი მეთოდიკა და ფორმები მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის მიზნით. განზოგადებულია აგრეთვე რუსთავის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორის გ. ძამანაშვილის მუშაობის გამოცდილება: კომიტეტებს რჩევა მიეცათ გამოიყენონ დაკისრებულ საკითხთა კონტროლიორების ფორმები და სტილი, რომელიც მან დანერგა. გარდა ამისა, საქართველოს სსრ სახალხო კონტ

ცეცხლოვან შვერილზე

1948 წლის 5 ივლისის გვიან საღამოს ცენტრალური ფრონტის საკომანდო პუნქტზე გენერალმა კ. როკოსოვსკემ შეაჯამა პირველი დღის მძაფრი ბრძოლების შედეგები კურსკის შვერილის ჩრდილოეთ ფარზე. იგი დაფიქრებული ჩანდა: შენაერთების წინ წაწევა კონტრდარტყმის მისაყენებლად ისე სწრაფად არ ხდებოდა, როგორც ვითარება მოითხოვდა. მან ავიატორებსაც გვისაყვედურა მოწინააღმდეგის საავიაციო დარტყმებისაგან სახმელეთო ჯარების დაცვის ორგანიზაციაში დაშვებული ზოგიერთი შეცდომისათვის.

როგორც კი ფრონტის ჯარების სარდალი ბრძოლების მეორე დღისათვის ამოცანების დასახვაზე გადავიდა, მთავრობის კავშირგაბმულობის ტელეფონი აწკრიალდა. უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. ბ. სტალინმა, უწინარეს ყოვლისა, ჰკითხა:

— მრიპოვეთ თუ არა ბატონობა ცაში?

— მძაფრი საჰაერო ბრძოლები ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობს, — უპასუხა კ. როკოსოვსკიმ.

უმაღლესმა მთავარსარდალმა მოითხოვა გაგვეზარდა ჩვენი ავიაციის აქტიურობა და წაგვერთმია მტრისათვის ინიციატივა.

— მარტო ცაში ბატონობის მოპოვებით შევძლებთ მოწინააღმდეგის შეტევის ჩაშლას, შემდეგ კი მისი ორიოლის დაჯგუფების განადგურებას. — ასეთი სიტყვებით დაამთავრა უმაღლესმა მთავარსარდალმა საუბარი სამხედრო-საჰაერო ძალების მოქმედების შესახებ და სხვა საკითხების განხილვაზე გადავიდა...

კურსკის შვერილზე ცაში ბატონობისათვის ბრძოლა სახმელეთო ბრძოლაზე ადრე დაიწყო. საარდლობის ბრძანებით, მაისის დამლევს მე-16 საჰაერო არმიამ, აგრეთვე სხვა საჰაერო არმიებმა ფრონტის ცენტრალურ და სამხრეთ უბნებზე განახორციელეს ოპერაციები აეროდრომებზე მოწინააღმდეგის ავიაციის განადგურების მიზნით. ჰიტლერელებს მოულოდნელად დავეხეთ თავს და რამდენიმე მასიებული დარტყმის შედეგად მათ დაკარგეს 500-მდე საბრძოლო მანქანა. ივნისში საბჭოთა ავიატორებმა ამგვარი ოპერაციები გაიმეორეს, თუმცა, რამდენადმე მცირე მასშტაბით. მეორე ოპერაციის შედეგად გერმანელმა ფაშისტთა ლუფტვაფემ კიდევ 200 თვითმფრინავი დაკარგა.

დაძაბული საჰაერო ბრძოლები გაიმართა მოწინააღმდეგის ავიაციის მიერ კურსკის რკინიგზის ქვანის დაბომბვის დროს. იმის მიუხედავად, რომ მტრის ბომბდამშენები ზოგჯერ ქალაქისკენ გაიჭრებოდნენ ხოლმე და ზარალს აყენებდნენ მას, ეს მათ ძვირად უჯდებოდათ. მაგალითად, დღის და ღამის თავდასხმების დროს ივნისის პირველ რიცხვებში გერმანელ ფაშისტთა ავიაციამ საბჭოთა ავიაგამანადგურებლების შეუპოვარი შეტევების შედეგად და მეზენიტეთა მარჯვე სროლით კიდევ 145 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ჰიტლერელებს ავიაციის დანაკარგების შევსება ძალზე უჭირდათ. კურსკის რკალზე შეტევაში მონაწილეობისათვის განკუთვნილი საავიაციო დაჯგუფება რომ შეექმნათ, გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ დასავლეთიდან გადმოისროლა ესკადრილები, აგრეთვე აღმოსავლეთის ფრონტის სხვა უბნებიდან მოხსნა საავიაციო ძალები. ავიაციას, სატანკო დივიზიებთან ერთად, ფაშისტთა სარდლობის აზრით, კვლავ მთავარი როლი უნდა შეესრულებინა საზაფხულო შეტევაში.

ფაშისტთა შეტევის პირველი წუთებიდანვე კურსკის რკალზე ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო. ფაშისტთა ავიაციის ძალები სწრაფად იღუოდა, რა თქმა უნდა, დანაკარგები ჩვენც გვქონდა. მაგრამ გაცილებით ნაკლები, თანაც ჩვენ დიდი რეზერვები გვქონდა, რომელთა მანევრირებით შეგვეძლო დანაკარგები შეგვევსო და გაგვეზარდა ძალები. აი, რატომ იყო, რომ ბრძოლის დროს სასწორი სულ უფრო იხრებოდა საბჭოთა ავიაციის მხარეს. ახლა უკვე საბჭოთა მფრინავებმა დაიწყეს მოწინააღმდეგისათვის თავიანთი ნების კარნახი.

მახსენდება საბჭოთა მფრინავების მასობრივი გმირობა. ისინი კურსკის ცაში დღედაღამ თავდადებით ებრძოდნენ მტერს. განსაკუთრებით გაითქვა სახელი რგოლის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა ა. კ. გოროვეცმა. ერთ-ერთ ბრძოლაში უშიშარმა ასმა მტრის ცხრა თვითმფრინავი ჩამოაგდო, მაგრამ თვითონაც დაიღუპა. სიკვდილის შემდეგ მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ბრძოლებში თავი გამოიჩინეს აგრეთვე ახალგაზრდა მფრინავებმა ი. ნ. კოჟედუბმა, ა. პ. მარესიევმა, ა. ე. ბოროვიხმა და ბერეზა სხვამ.

აქ, კურსკის რკალის ცაში, ჩვენი არმიის, სხვა შენაერთების საავიაციო მეთაურებმა და შტაბების მუშაკებმა გვიჩვენეს, რომ დაეუფლნენ 200-300 თვითმფრინავის ჯგუფებით მასირებული დარტყმების ორგანიზაციის ხელოვნებას. ასეთი დარტყმები არამარტო დიდ მატერიალურ ზარალს აყენებდა მოწინააღმდეგს, არამედ ძლიერ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასაც ახდენდა, მკვეთრად ამცირებდა მტრის ბრძოლისუნარიანობას. სწორედ ასე მოხდა ოლხოვატკასთან, პონირთან, პროხოროვკასთან, სადაც საბოლოოდ დაეკარგათ ფაშისტებს შეტევის სურვილი.

საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების ბატონობა ცაში საბოლოოდ განმტკიცდა ორიოლისა და ბელგოროდ-ხარკოვის მიმართულებით საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის დროს. კონტრშეტევაში მონაწილეობდნენ ხუთი საჰაერო არმია და შორი მოქმედების ავიაციის შენაერთები.

საბჭოთა ავიაცია თვისებრივად სჯობდა მათ წინააღმდეგ მოქმედი მტრის საავიაციო დაჯგუფებას. იგი არ ანელებდა ბრძოლას მოწინააღმდეგის ავიაციასთან, თანაც იყენებდა მოქმედების ყველაზე უფრო აქტიურ ხერხებს. ავიაგამანადგურებლები თამამად ეჯრეოდნენ მტრის ძალების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე და იქ თავისუფლად ეძებდნენ ჰიტლერელთა თვითმფრინავებს და ანადგურებდნენ მათ.

კურსკის მისადგომებთან საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალებმა ისეთი გამარჯვება მოიპოვეს, რომელმაც გამოიწვია ფაშისტური გერმანიის „საჰაერო სტრატეგიის“ კრახი, ხოლო მომავალში—გერმანელ ფაშისტთა ავიაციის დამარცხება მეორე მსოფლიო ომში. საბჭოთა ავიატორებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს სხვა სახეობათა ჯარების წარმომადგენლებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით. ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების განუწყვეტელი ურთიერთმოქმედება საერთო მიზნით — საძულველი მტრის განადგურების მიღწევის ინტერესებისათვის — ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რამაც უზრუნველყო ფაშისტურ ვერმახტზე საბჭოთა არმიის გამარჯვება. (საკდესი).

ელჩის მიღება

4 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა მიიღო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კლოდ არნო, რომელიც გასაცნობად მოგზაურობს ჩვენს რესპუბლიკაში.

საუბრის დროს, რომელმაც ვეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, მაღალი შეფასება მიეცა საფრანგეთში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ამასწინანდელი ვიზიტის შედეგებს. აღინიშნა, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში ცალკეული წარმავალი სიძნელეებისა და გაუგებრობის მიუხედავად, ჩვენი სახელმწიფოების თანამშრომლობა კვლავინდებურად ფართო და მრავალმხრივია.

ამბ. გილაშვილმა თქვა, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონტაქტების შემდგომი განვითარება ყველა დონეზე, ჩვენი ქვეყნების საპარლამენტო ურთიერთობის გაფართოება დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპისა და მთელი პლანეტის მშვიდობის განმტკიცებაში. მან ხაზი გაუსვა, რომ, როგორც საფრანგეთში საბჭოთა პარლამენტარების ვიზიტის შედეგების გამო გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღინიშნა, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის პოზიცია მეტ წილ საკვანძო საკითხებში ემთხვევა ან უახლოვდება ერთმანეთს.

კლოდ არნომ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის. მან გამოთქვა რწმენა, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ზოგიერთი სიძნელე უჯნლოს ხანს აღმოიფხვრება, ვინაიდან ეს ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს შეესაბამება.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ა. ჭიჭინაძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების გამგე ნ. ბ. რუხაძე.

* * *

საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კლოდ არნო გაეცნო თბილისის ღირსშესანიშნაობებს, იყო მცხეთასა და ჯვრში. (საქინფორმი).

მიღება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

4 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა მიიღო რელიგიური მოღვაწენი — თბილისში გამართული გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის მონაწილენი.

ამბ. პ. გილაშვილმა აღნიშნა, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთთან საქართველოს დამოყვრების ხელშეკრულების დადებას. მან გამოთქვა კმაყოფილება ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების საკითხებში ეკლესიის მსახურთა აქტიური პოზიციის გამო.

სტუმართა სახელით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მადლობა გადიხადა მიღებისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ ნენრუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის ხელმძღვანელი, კიევისა და გალიციის მიტროპოლიტი, საპატრიარქოთა ეგზარქოსი ფილარეტი, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის დელეგაციის ხელმძღვანელი, არქიეპისკოპოსი იუსიკი, ანტიოქიის ეკლესიის პატრიარქის წარმომადგენელი, არქიმანდრიტი ნიფონტი, ბულგარეთის ეკლესიის პატრიარქის წარმომადგენელი, არქიმანდრიტი ჭირილე.

შეხვედრაზე იყენენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმენებული საქართველოს სს რესპუბლიკაში გ. შ. მაისურაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ა. ჭიჭინაძე.

* * *

ზეიმის ფარგლებში 2 ივლისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საიუბილეო სესია, რომელიც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავსა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავს. 3 ივლისს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გაიმართა საზეიმო ლიტურგია ღირსშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად. (საქინფორმი).

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 6

გამოვიდა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მეექვსე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება ა. მექვაბიშვილის წერილით — დისციპლინა ყველასათვის ერთია. აქვეა გამოქვეყნებული გ. პაპიაშვილის — მეჩაიეთა გადაუდებელი ამოცანები.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით დაბეჭდილია რ. შამელაშვილის — სოფლის მეურნეობის ქართული ტერმინები რუსულში.

განყოფილებაში „მშრომელთა ეკონომიკური განათლება“ თქვენ გაეცნობით მ. კახეთელიძის წერილს — გავიანგარიშოთ ხარჯები, განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „80-იანი წლები: სოფლის პრობლემები“; „ეკონომიკა და ორგანიზაცია“; „სოფელი და მეცნიერება“, „მეცხოველეობა“, „მეცნიერი გვირჩევს“; „მებაღეობა და მევენახეობა“; „სადღეისო საზრუნავი“; „მიწათმოქმედება“; „მეცნიერის ტრიბუნა“; „ჩვენი კალენდარი“.

4 ივლისი
ყოველთვიური
ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

სოციალისტურ ქვეყნებში

● უნგრეთი

მეცნიერთა წვლილი

ბუდაპეშტი. სამეცნიერო კვლევისათვის გამოყოფილი ყოველი ფორინტი ხუთ ფორინტ მოგებას იძლევა. ასეთია უნგრეთის ნავთობისა და ბუნებრივი გაზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტთა მუშაობის ეფექტი ბოლო ხუთ წელიწადში. ამ ხნის განმავლობაში ისინი ათობით გამოგონების ავტორები გახდნენ, აქედან ნახევარზე მეტს უკვე ფართოდ იყენებენ სახალხო მეურნეობაში.

ამ სამეცნიერო ცენტრის მეცნიერთა ზოგიერთმა ნამუშევრამ განსაკუთრებით ფართო აღიარება პოვა ქვეყანაში. მაგალითად, ინსტიტუტში შექმნილმა სპეციალურმა დანამატებმა ორჯერ გაზარდეს ავტომანქანების გარბენი ძრავებში ზეთის გამოუცვლელად, რის შედეგადაც ყოველწლიურად იზოგება 20 ათასი ტონა ზეთი და თითქმის მილიონი სამუშაო საათი.

● ჩეხოსლოვაკია

საბჭოთა ქვეყნის შეკვეთით

პრაღა. პრაღის „ჩკდ-ტატრის“ ქარხანაში საბჭოთა ტრანსპორტელთა შეკვეთით შეიქმნა „ტნ-ბნ“ ტიპის ახალი ტრამვაი, რომლის გამოცდაც უკვე დაიწყო. იგი საგრძნობლად განსხვავდება თავისი წინამორბედებისაგან. გარეგნულად იგი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა, უფრო კომფორტულია მგზავრთა სალონიც. ტრამვაი აღჭურვილია სპეციალური აპარატურით, რომელიც უზრუნველყოფს ენერგიის მნიშვნელოვან ეკონომიას. ახალი ტიპის ტრამვაის სერიული წარმოება 1985 წელს დაიწყება.

● კუბა

მაჩეტეროთა დასაცავად

პინარი. ამა წლის დამდეგიდან უკვე მესამახე ლერწმის ასაღები კომბაინი ჩამოვიდა კუბის ქალაქ ოლგინის ოკტომბრის რევოლუციის 60 წლისთავის სახელობის კომბინატის მთავარი კონვეიერიდან. საწარმოს მუშებმა წარმატებით შეასრულეს 6 თვის საწარმოო გეგმა.

ლერწმის ასაღები კომბაინი ერთობლივად შექმნეს საბჭოთა და კუბელმა ინჟინრებმა. თითეულ მანქანას შეუძლია შეცვალოს მანტერთთა მთელი ბრიგადა, გამოთავისუფლოს ისინი შაქრის ლერწმის პლანტაციებში შრომატევადი საშუშაოსაგან.

ამჟამად აღნიშნულ საწარმოში, რომელიც ამ ტიპის ერთადერთი კომბინატია მთელს ლათინურ ამერიკაში, ამროექტებენ კიდევ უფრო მაღალი წარმადობის კომბაინებს.

● გდრ

საბჭოთა მეზღვაურებისათვის

ბერლინი. საბჭოთა დროშა აღიმართა ხაზდაო თევზსაჭერ ტრაულერზე „ატლანტიკ-888“ ზე, რომლის მშენებლობა დამთავრდა შტრალზუნდის გემსაშენში. ეს გემყინავი ტრაულერსიენერის ახალი სერიის პირველი ხომალდია.

ხომალდი, რომელიც მურმანსკის ნავსადგურს გადაეცემა, აღჭურვილია მართვის ავტომატური სისტემით, სხვადასხვა სიღრმეში, მათ შორის სანაპირო წყლებში, თევზის საჭერი უახლესი მოწყობილობით, თევზის გადასამუშავებელი და გასაყინი დანადგარებით. გემყინავ ტრაულერ-სიენერს მკაცრი შემოწმების შემდეგ უმაღლესი ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა.

● ბულგარეთი

ინტეგრაციის მაგალითი

სოფია. სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის მკაფიო მაგალითია ბულგარეთ-უნგრეთის „ინტრანსმაშის“ გაერთიანება. მისი ნაწარმი ამწე სატრანსპორტო ტექნიკისა და შიდასაქარხნო ტრანსპორტის დარგში დაინერგა ისეთ მსხვილ საწარმოებში, როგორიც არის „მადარას“ სატვირთო ავტომობილების კომბინატი შუმენში, ვარნის სანავსადგურო კომპლექსის „მარიცა-აღმოსავლეთი-2“ თბოელექტროსადგური. გაერთიანების სპეციალისტებმა შექმნეს უნიკალური ტრანსპორტიორი „ელაციტეს“ სამთო-მამდიდრებელი კომბინატისათვის. „ინტრანსმაშის“ პროდუქციას ფართოდ იყენებენ საზღვარგარეთაც. მაგალითად, საბჭოთა კავშირის კამის საავტომობილო ქარხანას გაერთიანებამ მიაწოდა თანამედროვე ავტომატიზებული საწყობი.

● საბერძნეთი

პრემიერის განცხადება

ათენი. ამერიკის სამხედრო ბაზები საბერძნეთის ტერიტორიაზე არსებობს „მკაფიოდ გამოხატული კოლონიური ხასიათის შეთანხმების“ საფუძველზე, განაცხადა აქ უცხოელი ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ მ ა ნ ო ლ ი ს პაპანდრეუმ. ჩვენი ქვეყნის ხალხს აკ უნდა, რომ ჩვენთან იყოს ეს ბაზები, ხაზი გაუსვა მან.

ილაპარაკა რა მმართველი პარტიის წინასაარჩევნო დაპირებების შესახებ, რომ მოსპობდა ამერიკის სამხედრო ობიექტებს საბერძნეთის მიწა-წყალზე, პრემიერ-მინისტრმა თქვა: არჩევნებზე მანდატი იმისათვის მივიღეთ, რომ ბოლო მოვუღოთ უცხოეთის სამხედრო ყოფნას. ვაშინგტონი უნდა მიხვდეს, რომ საბერძნეთის მთავრობა არ აპირებს დაიხოოს ამ საკითხში. ამერიკის სამხედრო ბაზები საბერძნეთის თავდაცვის უზრუნველყოფას კი არ უწყობს ხელს, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს შეესაბამება.

ქარიკატურისტის თვალით



უმუშევრობა მილიონთა ხვედრია

პლაკატზე წარწერილია: „უმუშევრობა ამერიკის ტრადიციული დაწესებულებაა, რომელიც ყველახათვის ღიაა რასის, კანის ფერის, სქესისა და რელიგიის მიუხედავად“.

ნახატი გაზეთ „ფიფლზ ურლდიდან“.

● ინდოეთ-აშშ

უთანხმოებანი დარჩა

დელი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი, რომელმაც დაამთავრა ოთხდღიანი ოფიციალური ვიზიტი ინდოეთში, დელიდან ისლამაბადს გაემგზავრა, ამერიკის საელჩოს მოთხოვნით დელის პალამის საერთაშორისო აეროპორტს ყველა მხრიდან ალყა შემოარტყა პოლიციამ, რათა აეროპორტის შენობასთან არ მიეშვათ მოსალოდნელ დემონსტრაციათა მონაწილენი. ეს ღონისძიება შემთხვევით არ მიუღიათ. შულცის ჩამოსვლის დღეს მას მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციებთან შეხვდნენ, რომლებიც ინდოეთის საზოგადოებრიობამ მოაწყო.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა უარი თქვა აეროპორტში, რამე განცხადება გაეკეთებინა პრესისათვის ან ეპასუხნა კორესპონდენტთა კითხვებზე. ჯ. შულცის გამგზავრების შემდეგ ჟურნალისტები შეეკითხნენ ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ნარასიმჰა რაოს, რჩება თუ არა განსხვავება სხვადასხვა საერთაშორისო პრობლემისადმი ამერიკისა და ინდოეთის მიდგომაში. „უთანხმოებანი არ დაგვიძლევიაო“, განაცხადა მინისტრმა. როგორც მან თქვა, ეს განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინდა მხარეთა მიერ მიუმხრობლობის მოძრაობის პოლიტიკის, რეგიონში მოვლენათა განვითარების და ეკონომიკური საკითხების შეფასების დროს.

● ინდოეთ-აშშ

პრეზიდენტის პირფშერობა

ვაშინგტონი. საომარი მზადების შეუკავებელი გაძლიერება, გამალებული ბირთვული შეიარაღების დაჩქარება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოებითი სამხედრო წონასწორობის დარღვევისა და შეერთებული შტატებისათვის უპირატესობის უზრუნველყოფის მიზნით, — ასეთია რეგანის ადმინისტრაციის უპირველესი მიზნები. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა პრეზიდენტის გამოსვლამ რადიოთი ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დღესასწაულის დამოუკიდებლობის დღის წინ.

პრეზიდენტმა თავისი ადმინისტრაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს „მიღწევად“ დააასახელა ამერიკის „ხელახალი შეიარაღების“ მასიერებული პროგრამა, რომლის უმნიშვნელოვანესი ელემენტები თეორმა სახლმა მიაღებინა კონგრესმენები, რომლებმაც ამას წინათ ხმა მისცეს ადმინისტრაციის თხოვნას, გამოუყონ 525 მილიონი დოლარი პირველი დარტყმის ახალი სტრატეგიული სარაკეტო სისტემის „მეექსის“ შექმნისა და გამოცდისათვის, წარმოადგინა ისინი ლამის ყოველმხრივ მისაბაძ „გმირებად“. ამასთან რეგანი თავს დაეხმა გამალებულ შეიარაღების მოწინააღმდეგეებს და ბრალად დასდო მათ „ანტიპატრიოტიზმი“, წარმოადგინა ისინი „ნამდვილი დემოკრატიის მტრებად“.

რეგანი მაინც იძულებული იყო ანგარიში გაეწია ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის განწყობილებისათვის, რომლის დიდი უმრავლესობა მოითხოვს ბირთვული არსენალების გაყინვას და გამალებული შეიარაღების ალაგმვის ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას. იგი დემაგოგიურად ამტკიცებდა, თითქოს მისი ადმინისტრაცია „ულაზრფელად იყო დაინტერესებული შეიარაღებისადმი ნამდვილი „კონტროლით“ და თითქოს ამის შესახებ ჟენევაში წამოყენებული წინადადებები „სამართლიანი, მოქნილი და რეალისტურია“. იგი აგრეთვე მსმენელებს არწმუნებდა, თითქოს კონგრესის მიერ „მეექს“ ტიპის რაკეტების განლაგების გეგმების მოწონების შედეგად გაუმჯობესდა ჟენევის მოლაპარაკებაზე „წარმატების მიღწევის პერსპექტივები“.

შეერთებული შტატების სეროზული და საღად მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწენი, ბირთვული შეიარაღების დარგის ექსპერტები ერთსულოვნად ფიქრობენ, რომ ამგვარი რიტორიკით რეგანი მხოლოდ ნიღბავს ჟენევაში მოლაპარაკების ჩაფუშვის კურსს. ჟენევაში ამერიკის წინადადებების აზრი იმით იფარგლება, რომ აიძულოს საბჭოთა კავშირი ცალმხრივად განიარაღდეს მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს თავისი სამხედრო პოტენციალის გაძლიერებას, — ასე შეაჯამა სამთლიანად ჟენევაში თეთრი სახლის პოზიცია გაზეთმა „ნიუიორკ ტაიმსმა“. ამ დღეებში კონგრესში გამართულ მოსმენებზე შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების საგანგებო ოთახმა ყოფილმა ხელმძღვანელმა — ჯ. სმიტმა, პ. უორნკემ, ჯ. სიგნესმა, ი. როსტოუმ ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ჟენევაში ამერიკის წინადადებები არარეალისტურია იმის გამო, რომ ცალმხრივი და მიუღებელია მეორე მხარისათვის.

თეთრი სახლის პატრონს „მშვიდობისმოყვარული“ დემაგოგიის სიყალბეს აღნიშნავს გაზეთი „ეაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციაც იმის შესახებ, რომ „მეექს“ ტიპის 100 რაკეტის განლაგება იმ უაღრესად გასაიდუმლოებული გეგმის რეალიზაციის სამი ეტაპიდან მხოლოდ პირველია, რომ მეეკეს ითვალისწინებს სულ ცოტა ამ ტიპის 200 რაკეტის განლაგებას „მიჯიტმენის“ ახალი სტრატეგიული რაკეტების დამატებით.

სენატორმა-დემოკრატმა ჯ. ეფსონმა გააკრიტიკა რეგანის ადმინისტრაციის სამარი მზადების დაჩქარების კურსი. მან განაცხადა, რომ თეთრი სახლის მიერ არჩეული გზა კატასტროფის გზაა.

ამერიკის „ზედმეტ ადამიანთა“ გრძელი რიგები შრომის ბირჟებთან (სურათზე) დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატების მრავალი ქალაქისათვის დამახასიათებელი სურათია. უმუშევართა შორის მრავლად არიან გამოცდილი მუშაკები, რომლებსაც მრავალი წლის მუშაობის სტაჟი აქვთ და ახლა იძულებული არიან ნებისმიერ სამუშაოს დასთანხმდნენ.

საკდესის ფოტო.

ფოტოფაქტი

აშშ: რიგები შრომის ბირჟასთან

კიდევ ერთი ამოცნობილი საიდუმლო

მირქმის ეკლესიაში მიმდინარე გათხრებზე

ისინი დოლბანდის ნიღბით მუშაობენ, როგორც დასტაქრები. ასეთი შედარება მართლზომიერია; შოგანენებულ მოძრაობათა იგივე სიზუსტე და, არსებითად, იგივე მიზანი — შთაბერო სიცოცხლე...

...ოქროსაშურმიანი დაშნა კუბოზე დაასვენეს და მიწა დააყარეს. ზემოდან საფლავის ქვა დაადეს. ეს თითქმის ორასი წლის წინათ მოხდა. შემდეგ საფლავის ქვა გაქრა. გაქრა და წარიშალა ოქროსაშურმიანი დაშნის პატრონის დაკრძალვის ადგილის ხსენებაც.

არა, ზოგი რამ, რასაკვირველია, დარჩა. დარჩა ჩანაწერი „მოსკოვის ძველთაძველი ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების გზამკვლევში“ — კაცმა რომ თქვას, ფრიად გაურკვეველი ჩანაწერი, მაგრამ ანგარიშგასაწევია სიძველეც — იგი ხომ 1793 წელს გაუკეთებიათ. დარჩა რამდენიმე ავტორის მითითება, რომ ოქროსაშურმიანი დაშნის მფლობელი დაუკრძალავთ დონის მონასტრის მირქმის ეკლესიაში. ხოლო სახელობრ სად, საძვალის რა ნაწილში —ამაზე სიტყვაც არ არის ნათქვამი.

ეს უნდა დაედგინათ არქეოლოგებს, და კიდეც დაადგინეს. 23 ივნისს, დაახლოებით ხუთის ნახევარზე — მოგახსენებთ ზუსტ თარიღსა და დროს იმიტომ, რომ მოვლენა ღირსია ამისა, — გათხრილ სამაროვანში, რომელიც 31 ნომრით იყო აღნიშნული, გამოჩნდა დაშნის ტარი, რომლის ოქროს აშურმა მიწას შეეჭამა. რამდენიმე საათის მუშაობის შედეგ ამოიღეს გამწვანებული ვერცხლის „ადამის თავი“, ხოლო კიდევ თხუთმეტ წუთში იპოვეს ოვალური ლითონის ფინი, რომელსაც რაღაც წარწერა ამშვენებდა. წაიკითხეს: აქ განისვენებს გენერალ-ანშეფი, ალექსანდრე ნევიელისა და ანას ორდენების კავალერი, ქართველი მეფისწული გიორგი ვახტანგის ძე.

სამაროვანში ჩასულმა ადამიანებმა დოლბანდები მოიხსნეს და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ვახტანგ VI ერთ-ერთ ვაუს, ბაქარ და ვახუშტი ბაგრატიონების მმას, ალალმართლად რომ ემსახურა საქართველოსა და რუსეთს როგორც მეომარი, სწავლული და საზოგადო მოღვაწე, ბოლოს და ბოლოს ეღირსა ეუწყებინა გამვლელისათვის: „შესდექ, აქ განვსვენებ მე, გიორგი ქართველი“. შესდექ და, როგორც ოდითგან მოგვდგამს, შენდობა უთხარ...

იგი მამას თან ახლდა ლაშქრობებში და მონაწილე იყო მისი მეცნიერული ღვწისა. მხარში ედგა მამას რუსეთში გურძიევაცკის უღელტეხილზე გადასვლისას და ეხმარებოდა თვისტომთ ფესვი გაეღგათ პრუსიის ნაპირებზე. ქართველთა დასახლებებს მახლობლად ეკლესია ააშენა და გიორგის სახელი უწოდა. იგი დიდძალ თანხებს სწირავდა მოსკოვის უნივერსიტეტს. „...იშვიათი და დიადი ღირსებები მისი, რომელებითაც მან საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა, აბრალებენ მრავალთა წუხელს ესოდენ დიდი ქველმოქმედისა და კაცთა მოდგმის მეგობრის დაკარგვისა გამო“ —ნათქვამია 1786 წლის სინოდის ხელნაწერში, რომელიც მოსკოვის არქივში აღმოაჩინა თბილისელმა ისტორიკოსმა ფ. სიხარულიძემ.

ამ კაცის საფლავი დაკარგულად ითვლებოდა. ახლა იგი დადგენილია.

„სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან აღმოჩენებს გაგაცნობთ მომდევნო რეპორტაჟში“ —დაგპირდით მოსკოვიდან 14 მაისს გამოცემულ მასალაში. თუმრე ეს წინდაუხედავი, გაუფრთხილებლობით წამომცდარი ფრაზა ყოფილა. აღმოჩენები რეპორტიორთა ნება-სურვილით არ ხდება, ხოლო ისინი, რომლებიც ხდება, ყოველთვის არ აინტერესებს მკითხველს. არადა მირქმის ეკლესიაში მიმდინარე გათხრებისადმი ინტერესი ისე დიდია, ისეა გაცხოველებული პირველდელი მრავლისაღმოჩენელი აღმოჩენებით, რომ შეუძლებელი ხდება წერილშავ, სამეურნო — იგი კი თითქმის მთელი ასი პროცენტით არის „შავი“ და სამეურნო, —წეროო არქეოლოგთა სადაგ, სასწავლებელ სამუშაოზე, რომელსაც აღმოჩენების ნათელი არ ადგას. ყველანი მოელოდნენ აღმოჩენებს, ისინი კი არ ჩანდა. არადა, აღმოჩენები, უდავოდ, იყო. ოღონდ იმ სფერში, რომელიც ალბათ არ არის მაინცდამაინც საინტერესო უმრავლესობისათვის.

მოკლე საუბარი საქართველოს არქეოლოგიური ცენტრის დირექტორთან ო. ლორთქიფანიძესთან და ექსპედიციის ხელმძღვანელთან გ. ლომბაშიძესთან.

— მუშაობას რომ ვიწყებდით, ხელთ გვქონდა მთელი რიგი წყაროები და სქემები, რომლებიც თავიდანვე ერთობ საწინააღმდეგოდ გამოიყურებოდა. გათხრების დროს ისინი არ დადასტურებულა. რა თქმა უნდა, ბევრ შეინარჩუნეს თავიანთი ისტორიული და მეცნიერული მნიშვნელობა, მაგრამ მაინც უთმობენ პრიორიტეტს არქეოლოგიური გათხრების უშუალო შედეგებს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, გავიფიქრე მე, გათხრების შემდეგ ძველი ჰიპშარიტება ახლებურად წარმოგვიდგება. მაგალითად, არავითარი უშუალო მითითება არ ყოფილა, რომ არჩილ II სამხრეთის კედელთან არის დაკრძალული. ერთ-ერთი ავტორი გულდაჯერებით ასახელებდა ადგილს მირქმის ეკლესიის სადარბაზო ნაწილის ცენტრში. გათხრების წყალობით ჩვენ ახლა ვიცით, რომ ეს ასე არ არის. არქეოლოგთა დამასახურება ის გახლავთ,

სტავროპოლის თეატრი თბილისში

5 ივლისიდან თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გასტროლებს იწყებს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი —სტავროპოლის მ. ლერმონტოვის სახელობის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი დრამატული თეატრი, რომელიც პირველად ეწვია თბილისს.

გასტროლები გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ეძღვნება და გაცვლითი ხასიათისაა. აგვისტოში სტავროპოლში თავის მხრივ გასტროლებს გამართავს თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის დასი.

სტავროპოლელთა საგასტროლო აფიშაზეა ცხრა სპექტაკლი: ჟ. მოლიერის „ტარტიუფი“, ა. ოსტროვსკის „ბოლო ამშვენებს საქმესა“, ვ. როზოვის „ურუანჩელას ბუდე“, ე. გაბრილოვიჩისა და ი. რაიზმანის „ვინა ხარ შენ, ვასილ გუბანოვო?“, ა. დუდარევის „ზღურბლი“, ვ. დიატლოვის „უგერგილო ადამიანი“, ი. ედლისის „ჩრდილების თამაში“, დ. სკარნაჩისა და რ. ტარაბუზის „ჩემი პროფესიაა სენიორი“, ა. ჩხაიძის „ჩინარის მანიფესტი“. აღსანიშნავია, რომ გარდა ამ უკანასკნელისა, თეატრის სცენაზე სხვადასხვა დროს წარმატებით იდგმებოდა სხვა ქართული პიესებიც: გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“, ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მარადისობის კანონი“.

დადგმებში მონაწილეობას მიიღებენ თეატრის წამყვანი მსახიობები: სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. კუზნეცოვი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტები ბ. დანილჩენკო, ვ. ფამენკო, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტები ვ. ალაფერდოვი, მ. იაკოვენკო, ბ. დიმიჩენკო და სხვები.

თეატრის მთავარი რეჟისორია რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. რახლინი. გასტროლები 31 ივლისამდე გასტანს. (*„კომუნისტის კორ.“*).

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

პირველი მედლები

თბილისელი ირინე გერასიმოვა უნივერსიადის ჩემპიონია



კანადის ქალაქ ედმონტონში მიმდინარე სტუდენტთა VII მსოფლიო უნივერსიადის პირველ დღეს თავი ისახელა თბილისელმა ირინე გერასიმოვამ, რომელმაც 400 მეტრზე კომპლექსური ცურვაში უნივერსიადის რეკორდი დაამყარა (4.52,27) და ცხადია, პირველობასაც დაეუფლა. აღსანიშნავია ისიც, რომ მან ამ დისტანციაზე ჯერ წინასწარ გაცურვაში გააუმჯობესა რეკორდი, შემდეგ კი ფინალში. წარმატება იზეიმა აგრეთვე გროდნოელმა ირინე ლარიჩევამ. მან 100 მეტრი თავისუფალი სტილით 58,15 წამში გაცურა და პირველობა მოიპოვა. ამ სახეობაში მეოთხე ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ირინე სერგეევამ — 58,57 წამი. თემირთაუელი იური კისი 100 მეტრზე ბრასით ცურვაში მეორე იყო — 1.04,04. მას წინ გაუსწრო იაპონელმა შიგეჰირო ტაკაშიმ — 1.03,95. ლენინგრადელ გენნადი უტენკოვს მეხუთე ადგილი ხვდა წილად — 1.05,10. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ვერცხლის მედალს დაეუფლა მოსკოველი ალექსი ფილოხოვი — 51,90. ეს დისტანციაა უფრო სწრაფად გაცურა ლოურენს ხეესმა (აშშ) — 1.51,19.

სპორტულ ტანვარჯიშში თავი ისახელეს საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებმა. მრავალჯიდში სამივე საპრიზო ადგილი ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს: ვლადიმირელმა იური კოროლიოვმა — 58,3 ქულა, მისმა თანამემამულემ ვლადიმერ არტემოვმა — 58,2 და ვოლგოგრადელმა ალექსანდრე პოგორელოვმა — 58,1. ამ სამეულმა და აგრეთვე ლვოველმა სტეფანე მარცინკევმა ოქროს მედლები მიიღეს გუნდური გამარჯვებისთვისაც.

შეჯიბრების მეორე დღეს ტანმოვარჯიშე ქალთა მრავალჭიდში გაიმარჯვა როსტოველმა ნატალია იურჩენკომ, რომელიც ოთხიე ვარჯიშში საუკეთესო იყო. იურჩენკომ 39,05 ქულა დააგროვა. მეორე ადგილებზე გამოვიდნენ რუმინელები მიხაელა რისიუ და ემილია ებერლი — 38,40-38,40. სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდური პირველობაც მოიგო. ი. ლარიჩევა მეორე ოქროს მედალს დაეუფლა, ამჯერად 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 2.02,17. ჩელიაბინსკელმა ალექსი მარკოვსკიმ 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გაიმარჯვა — 54,65.

სურათზე: ირინე გერასიმოვა. იუპი-საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

VIII '83

გრძელდება სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ცხენოსნობასა და მაგიდის ჩოგბურთში.

მოსკოვში ცხენოსნთა ასპარეზობაზე მედლების პირველი კომპლექტი გთამაშდა წინაღობათა გადალახვაში (გუნდური შეჯიბრება). ამ სახეობაში პირველობა მოიპოვეს ლატველებმა (44 ქულა), მომდევნო სამრიზო ადგილებზე გამოვიდნენ მოსკოველები (52,75) და რუსეთის ფედერაციის ცხენოსნები (69). საქართველოს ნაკრებმა მეექვსე ადგილი დაიკავა.

ცხენოსნობა სამეჯდში ორი სახეობის ჯამით (სამანეჟო სვლა და სალელი გამოცდა) პირად ჩათვლაში დაწინაურებული იყვნენ მოსკოველები ვ. ტიმკინი (83 საჯარიმო ქულა), ბ. გორჩაკოვი (87,2) და ა. გრიშინი (97,7). რაც შეეხება გუნდურ ჩათვლას, აქ პირველი იყო რუსეთის ფედერაციის ნაკრები (376 საჯარიმო ქულა). მეორე ადგილზე იყვნენ საქართველოს სპორტსმენები (497,3), მესამეზე — მოლდაველი ცხენოსნები (542,1). გუშინ სპორტსმენები სამეჯიდის ბოლო სახეობაში, წინაღობათა გადალახვაში ასპარეზობდნენ.

ლვოვში მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრების მორიგი შეხვედრების შედეგები ასეთია: **ვაჟები:** ყაზახეთი—ლიტვა — 3:5, თურქმენეთი-მოსკოვი — 0:5, უზბეკეთი-ბელორუსია — 0:5, უკრაინა-ტაჯიკეთი — 5:0, ესტონეთი-ლენინგრადი — 5:1, მოლდაველეთი-აზერბაიჯანი — 2:5, სომხეთი-საქართველო — 5:2, ყაზახეთი-მოსკოვი — 1:5, ლატვია-თურქმენეთი — 5:0, ლატვია-რსფსრ — 0:5; **ქალები:** ლატვია-რსფსრ — 0:5, ესტონეთი-ლიტვა — 2:5, მოლდაველეთი-ლენინგრადი — 0:5, სომხეთი-უზბეკეთი — 5:1, უკრაინა-ყაზახეთი — 5:2, ტაჯიკეთი-საქართველო — 5:1, ბელორუსია-მოსკოვი — 4:5, თურქმენეთი-აზერბაიჯანი — 3:5, ლატვია-რსფსრ — 4:5, ლატვია-ესტონეთი — 4:5, უკრაინა-საქართველო — 5:0.

მეოთხედ...

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრებმა ბოლო, მეშვიდე ტურში უნგრეთის გუნდი დაამარცხა ანგარიშით 4,5:3,5, დააგროვა 38 ქულა და ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ბოლო ტურის სხვა მატჩები კი ასე დამთავრდა: დიდი ბრიტანეთი-იუგოსლავია — 4,5:3,5, პოლანდია-დანია — 4,5:3,5, ბულგარეთი-გფრ — 5:3. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპის პირველობა სულ რვაჯერ გაიმართა და რვაჯერვე ჩვენი მოჭადრაკეები დაეუფლნენ უძლიერესთა წოდებას. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ იუგოსლავები — 33 ქულა, უნგრელები —31, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები— 30, ჰოლანდიელები — 29,5, ბულგარელები — 25, დანიელები— 20 და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოჭადრაკენი — 17,5 ქულა.

საპურნირო ორბიტა

ფესტივალი. მილანში დამთავრდა „ეუნდიალიტოდ“ ცნობილი საერთაშორისო შეჯიბრება. პირველი ადგილი დაიკავა ატალიის გუნდმა „იუვენტუსმა“, რომელმაც შეჯიბრების ბოლო დღეს დაამარცხა ბრაზილიის „ფლამენგო“ — 2:1. ბრაზილიელები მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

ᲛᲔᲨᲕᲘᲚᲔᲜᲘᲜᲒᲘ. უკრაინის ქალაქ ნოვაია კახოვკაში დამთავრდა სსრ კავშირის თასების გათამაშება. ქალთა მრავალჭიდში პირველობა მოიპოვა ტაშკენტელმა ზებინოსმო რუსტამოვამ. მან 2555 ქულა დააგროვა. მომდევნო სპრიზო ადგილები დაიკავეს ნოვაია კახოვკის წარმომადგენელმა ლუდმილა არქანიკოვამ — 2551 ქულა და მოსკოველმა სონია გრომოვამ — 2549. ვაჟთა მრავალჭიდის სპრიზო სამეულში მოხვდნენ: ხაბაროვსკელი იოსეფ ფაინშტეინი — 2605 ქულა, ჩიტელი მუნკო-ბადრა და შიცირენოვი — 2579 და ნოვოკახოვკელი სერგი ტელეგა — 2570.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

საქართველოს სსრ

აცხადებს კონკურსგარეშე მიღებას 1983-84 სასწავლო წლისათვის საბჭოთა კავშირის ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში დღის განყოფილებაზე

ქვემოთ ჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები მოეწყობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2, მაღლივი კორპუსი).

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ბიოფიზიკა; მათემატიკა, გენეტიკა; სამართალმცოდნეობა; მეცნიერული კომუნიზმი; სკკ პარტიის ისტორია; პოლიტიკური ეკონომია.

მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში — ისტორია-არქივმცოდნეობა; დოკუმენტმცოდნეობა და შრომის მართვის ორგანიზაცია სახელმწიფო დაწესებულებებში.

მოსკოვის პოლიგრაფიის ინსტიტუტში — პოლიგრაფიული მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

მოსკოვის ეკონომიკა-სტატისტიკის ინსტიტუტში — სტატისტიკა.

მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტში — რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

მოსკოვის კავშირგაბმულობის ელექტრიკულ ინსტიტუტში — კავშირგაბმულობის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში — მეცნიერული კომუნიზმი; პოლიტიკური ეკონომია.

კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში — საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი.

როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში — პოლიტიკური ეკონომია.

ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტში — სკკ პარტიის ისტორია.

მინსკის პედაგოგიურ ინსტიტუტში — დეფექტოლოგია.

ᲥᲕᲘᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲮᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ — საქალაქო ელექტროტრანსპორტი.

მოსკოვის მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში — ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია.

მოსკოვის ნავთობქიმიისა და გაზის მრეწველობის ინსტიტუტში — ნავთობისა და გაზის გადამუშავების ქიმიური ტექნოლოგია.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ — ჰიდრავლიკური მანქანები და ავტომატიკის საშუალებანი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ Ვ. Ი. ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ელექტროსადენი; ელექტროფორმული დანადგარები; ელექტრონული სამედიცინო აპარატურა.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲪᲔᲚᲣᲚᲝᲖᲐ-ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ცელულოზა-ქაღალდის წარმოების მანქანები და აპარატები; ცელულოზა-ქაღალდის წარმოების ქიმიური ტექნოლოგია.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — მაღალი ძაბვის ტექნიკა; ფხვნილთა მეტალურგია და დაფრქვეული დაფარვები.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ტყავის ნაწარმის კონსტრუირება.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — რძისა და რძის ნაწარმის ტექნოლოგია; ხორცისა და ხორცის ნაწარმის ტექნოლოგია.

ᲓᲜᲔᲠᲝᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — სასარგებლო წიაღისეული საბადოების ღია დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია.

ᲓᲜᲔᲠᲝᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — მეტალურგიული ღუმელების თბოტექნიკა და ავტომატიზაცია.

ᲓᲜᲔᲠᲝᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲐ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ქიმიურ-ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია; პლასტიკური მასების გადამუშავების ტექნოლოგია.

ᲚᲕᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიური ტექნოლოგია.

ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — სატყეო და ხის-დამამუშავებელი მრეწველობის მანქანები და მექანიზმები.

ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲡ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — სასოფლო სამეურნეო წარმოების ავტომატიზაცია; სამსხმელო წარმოების ტექნოლოგია და მანქანები; ზუსტი მექანიკის ხელსაწყოები.

ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝ�პᲝᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ნახევარგამტარებიანი და მიკროელექტრონული ხელსაწყოები; ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ᲒᲠᲝᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ქიმიური წარმოების მანქანები და აპარატები.

ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ელექტროაკუსტიკა და ულტრაბგერითი ტექნიკა.

ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲒᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — კრიოგენული ტექნიკა; სამაცივრო და საკომპრესორო მანქანები და დანადგარები.

ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია.

ᲗᲐᲠᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — შენობათა, მოწყობილობის და ავტომატური სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია.

ᲗᲐᲠᲙᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ლოკომოტივთმშენებლობა: ლოთნრების წნევით დამუშავების ტექნოლოგია და მანქანები.

ᲗᲐᲠᲙᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ჰიდრავლიკური მანქანები და ავტომატიკის საშუალებანი.

ᲜᲝᲕᲝᲩᲔᲠᲙᲐᲡᲙᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ამწე-სატრანსპორტო მანქანები და მოწყობილობანი.

ᲜᲝᲕᲛᲩᲔᲠᲙᲐᲡᲙᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაცია.

ᲜᲝᲕᲝᲩᲘᲑᲘᲠᲙᲘᲡᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ელექტრონული ხელსაწყოები.

ᲢᲐᲒᲐᲜᲠᲝ�გᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ელექტრონული ხელსაწყოები.

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა (ნატურალური აბრეშუმის სპეციალური).

ᲢᲝᲚᲘᲐᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — საავიაციო და ავტოსატრანსპორტო მოწყობილობა.

ᲢᲐᲛᲑᲝᲕᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ნაკეთობებსა და დეტალებში პოლიმერული მასალების გადამუშავების ტექნოლოგია და მანქანები.

ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲝᲡ ᲡᲐᲤᲘᲔᲥᲠᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირება.

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ელექტროთერმული დანადგარები.

ᲙᲐᲣᲩᲣᲙᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და ნაბმარი წყლის გაუვნებლება.

ᲧᲐᲖᲐᲮᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲐ-ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — პლასტიკური მასების გადამუშავების ტექნოლოგია.

ᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — თბოენერგეტიკული პროცესების ავტომატიზაცია.

ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ Მ. Ვ. ᲚᲝᲛᲝᲜᲝᲡᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ — ბიოფიზიკა; მათემატიკა, გენეტიკა; სამართალმცოდნეობა; მეცნიერული კომუნიზმი; სკკ პარტიის ისტორია; პოლიტიკური ეკონომია.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ — ისტორია-არქივმცოდნეობა; დოკუმენტმცოდნეობა და შრომის მართვის ორგანიზაცია სახელმწიფო დაწესებულებებში.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — პოლიგრაფიული მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ-ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — სტატისტიკა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲒᲖᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲘᲜᲟᲘᲜᲘᲠᲘᲜᲒ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — კავშირგაბმულობის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ — მეცნიერული კომუნიზმი; პოლიტიკური ეკონომია.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ტ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში — საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი.

ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ — პოლიტიკური ეკონომია.

ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ — სკკ პარტიის ისტორია.

ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — დეფექტოლოგია.

ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲮᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ — საქალაქო ელექტროტრანსპორტი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲝᲥᲘᲛᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ნავთობისა და გაზის გადამუშავების ქიმიური ტექნოლოგია.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ჰიდრავლიკური მანქანები და ავტომატიკის საშუალებანი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ — ელექტროსადენი; ელექტროფორმული დანადგარები.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ — ელექტრონული ხელსაწყოები.

ᲚᲕᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიური ტექნოლოგია.

ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — სატყეო და ხის-დამამუშავებელი მრეწველობის მანქანები და მექანიზმები.

ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲡ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — სასოფლო სამეურნეო წარმოების ავტომატიზაცია; სამსხმელო წარმოების ტექნოლოგია და მანქანები; ზუსტი მექანიკის ხელსაწყოები.

ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝ�პᲝᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ნახევარგამტარებიანი და მიკროელექტრონული ხელსაწყოები; ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ᲒᲠᲝᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ქიმიური წარმოების მანქანები და აპარატები.

**ᲝᲓ